ხელშეკრულება N 13

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. თბილისი 02 თებერვალი 2012 წ.

ერთის მხრივ **სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სამსახურის უფროსის **გიორგი კურტანიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს "უნიგრუპი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი პირველის** სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, "ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და "ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებრე ხელშეკრულებას საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე: (CON-12001)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "შემსყიდველი"-ს მიერ - 4300 (ოთხი ათას სამასი) ლიტრი, არანაკლებ 95 ოქტანობის პრემიუმის მარკის ბენზინის (პრემიუმავანგარდის) საავტომობილო საწვავის (შემდგომში "საწვავი") შესყიდვა. (CPV09132000)

1.2 "საწვავის" მიწოდება განხორციელდება პლასტიკური ბარათების მეშვეობით შემსყიდველის წინასწარი შეკვეთების შესაბამისად 2012 წლის 2 აპრილის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და საწვავის ერთეულის ფასის განსაზღვრის წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9288 (ცხრა ათას ორას ოთხმოცდარვა) ლარს. ღირებულება შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს და "საწვავი"-ს შენახვის ხარჯს ავტოგასამართი სადგურებიდან შემსყიდველის მიერ საწვავის გატანამდე.

2.2 შემსყიდველის მიერ "საწვავი"-ს შეძენისას, "საწვავი"-ს ერთეულის ღირებულება განისაზღვრება შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთების დღეს "LUKOIL"-ის ნიშნით არსებული ავტოგასამართი სადგურების ქსელში არსებულ შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის (1 ერთი ლიტრის) ფასს გამოკლებული დისქაუნთი შემდეგი ოდენობით - 4 (ოთხი) თეთრი, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის შეადგენს - 2.16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარს. ამასთან აღნიშნული აისახება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში.

2.3 ამ მუხლის მიხედვით მხარეთა მიერ შეთანხმებული "საწვავი"-ს ღირებულება ძალაშია 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. საწვავის მიწოდების პირობები

3.1 მიმწოდებელი შემსყიდველს უსასყიდლოდ დაუმზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის პლასტიკურ ბარათებს განაცხადის გაკეთებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში. პლასტიკური ბარათების გადაცემის შემდეგ, მათი დაზიანებისა და განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე.

3.2 მიმწოდებელი შესაბამის (საკუთარ) ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს, სადაც შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მინდობილობით განსაზღვრული პირი, პაროლისა და მომხმარებლის სახელის გამოყენებით, შეძლებს ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული საწვავის გადანაწილებას შემსყიდველის კუთვნილ პლასტიკურ ბარათებზე, ასევე პლასტიკურ ბარათებზე არსებული საწვავის ხარჯვისა და ნაშთის გაკონტროლებას, დეტალური ამონაწერის მიღებას.

3.3 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საწვავის მიწოდება (ჩასხმა) განხორციელდება შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, მოთხოვნილი ოდენობისა და სახეობის შესაბამისად. (ქ.თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია).

3.4 პლასტიკური ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველის წერილობითი განაცხადის

საფუძველზე განახორციელებს ბარათის ბლოკირებას, დაამზადებს ახალ ბარათს, რომელზედაც ჩაირიცხება დაკარგულ ბარათზე წერილობითი განაცხადის მომენტისათვის არსებული ნაშთი.

3.5 პლასტიკური ბარათების საშუალებით „საწვავი"-ს მიწოდება განხორციელდება „LUKOIL"-ის ნიშნით არსებულ ავტოგასამართ სადგურებზე.

3.6 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „საწვავი".

3.7 პლასტიკური ბარათებზე „საწვავი"-ს ჩატვირთვასთან ერთად მიმწოდებელი შემსყიდველს გამოუწერს და გადასცემს სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

3.8 ბენზინგასამართი სადგურებიდან საწვავის გაცემა ხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე, ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე.

3.9 პლასტიკურ ბარათზე შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დატანებულ იქნას ავტომანქანის სახელმწიფო სერია და ნომერი, ამ შემთხვევაში საწვავის გაცემა მიმწოდებლის მიერ მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრისა და სერიის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების ავზში საწვავის ჩასხმა ასეთი ბარათის მეშვეობით არ განხორციელდება.

3.10 პლასტიკური ბარათების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე: **ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.**

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, პლასტიკური ბარათების საშუალებით „საწვავი"-ს მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **ჯაბა ხმალაძე.**

4.2 „საწვავი"-ს ხარისხთან დაკავშირებით კონტროლის მიზნით, შემსყიდველის მიერ შემოწმების ჩატარების მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ შემოწმება ჩატარებული იქნება საერთაშორისო სტატუსის მქონე სერთიფიცირებული ლაბორატორიის მიერ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

5.3 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორცილდება მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევისას, მიმწოდებელს, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3 იმ შემთხვევაში, თუკი დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

UNI GROUP
Corporate Services Department
GEORGIA. "UNI GROUP"

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას (გარანტიის არსებობის შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.4 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს ნავთოპროდუქციის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) შპს "უნიგრუპის" სატენდერო წინადადების პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16 ტელ: 226 16 28, 226 10 95 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, სკ-204577813	**შპს „უნიგრუპი"** მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 238-00-13; 237-38-78; ფაქსი: 237-38-08 რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი, ანგარიშის N GE65BG0000000883370201; კოდი BAGAGE22; სკ- 205054894
გიორგი კურტანიძე **სამსახურის უფროსი**	**გიორგი ბერველი** **დირექტორი**